ჩვენ შესახებ

სკოლა-ლიცეუმის მისია: აღზარდოს განათლებული, მოაზროვნე, ფიზიკურად ჯანმრთელი, რაინდული სულისკვეთების მატარებელი თაობა, რომელიც გააგრძელებს ქრისტიანულ ეროვნულ ტრადიციებს, ჰარმონიულად განავითარებს თანამედროვე ევროპულ ჰუმანისტურ კონცეფციებს და გაამართლებს ქართული საზოგადოების მოლოდინებს საგანმანათლებლო პოლიტიკასთან დაკავშირებით.

ხედვა: 2033 წლისთვის სკოლა-ლიცეუმი ჩამოყალიბდება განსაკუთრებული პროფილის, კონსერვატორულ-ტრადიციონალისტურ იდეებზე დაფუძნებულ სასწავლებლად, რომლის აღზრდილსაც ექნება ფართო თვალსაწიერი, განათლება და კოგნიტური უნარები ევროპული და სხვა მოწინავე ცივილიზაციების საუკეთესო მიღწევების აღქმის, ქართული ტრადიციული ღირებულებებისთვის მისაღები ცოდნისა და გამოცდილების შეთვისებისთვის.

ღირებულებები: ტრადიციონალიზმი; ჰუმანისტურ კონცეფციებზე დაფუძნებული მაღალი განათლება და კონსტრუქტივისტული უნარები; გლობალური სამყაროსადმი ღიაობა; გლობალიზაციისა და კოსმოპოლიტიზმის გამოწვევებთან გამკლავება.

ჩვენი სკოლის საბოლოო მიზანი ნათლად ჩანს მის მიერ შემუშავებულ მისიაში, ხედვასა და ღირებულებებში. აშკარაა, რომ იგი არ „იკეტება“ მხოლოდ ლოკალური, ეროვნული და შინაარსობრივი არეალის ფარგლებში, მაგრამ არც გლობალისტური, უკიდეგამო, განუსაზღვრელი და უფორმო სივრცის ნაწილად მოიაზრებს საკუთარ თავს. იგი არ „წირავს“ აღზრდის საბოლოო „პროდუქტს“ – ეროვნულიდან მიემართება ზოგადსაკაცობრიო საუკეთესო მიღწევების ზიარებისკენ და პირიქით, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებით ამდიდრებს ეროვნულს.

სკოლა-ლიცეუმი აცნობიერებს, რომ მის წინაშე სამი უმნიშვნელოვანესი ამოცანა დგას:

- დააუფლოს მოსწავლე ეპოქის შესაფერის ცოდნას;
- გამოუმუშაოს მასში უნარები/ჩვევები, რომლებიც სწრაფად ცვალებად სამყაროში მუდმივი დასაქმების დივერსიფიცირების საშუალებას მისცემს;
- აღზარდოს მასში ღირებულებები – მარადიული, უცვალებელი, ერთი ჭეშმარიტების პრინციპზე დამყარებული, რომელიც განსაზღვრავს მის მოქალაქეობრივ პოზიციას სიურპრიზებით აღსავსე თანამედროვე საზოგადოებრივ/პოლიტიკურ ცხოვრებაში.

პირველი ამოცანის განსახორციელებლად სკოლა-ლიცეუმი „ურეპეტიტორო სკოლის“ პრინციპს ნერგავს. კლასებში მოსწავლეთა მცირე რაოდენობა (10–15), რაც ჩვენი პრინციპული პოზიციაა, საშუალებას იძლევა წარმატებით შევახამოთ

ერთმანეთთან ჯგუფური და ინდივიდუალური მუშაობის მეთოდები. ჩვენ რეალურად მივაღწიეთ არცთუ იოლი პრობლემის გადაწყვეტას – მოსწავლეთა უდიდესი ნაწილი ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის მთლიანად სკოლა-ლიცეუმის ბაზაზე ემზადება. და ეს ხდება ქვეყანაში, სადაც „ტრენდულია“ რეპეტიტორებთან სიარული, რაზეც აბიტურიენტებს არარაციონალურად ეხარჯებათ დიდი დრო და მნიშვნელოვანი ფინანსური სახსრები. ჩვენი სკოლა კი ფინანსური თვალსაზრისით ქალაქში ერთ-ერთი ყველაზე ხელმისაწვდომია.

მეორე ამოცანის გადაწყვეტას ვცდილობთ კონფუცის საოცრად თანამედროვე პედაგოგიური პრინციპის გამოყენებით: **„მითხარი და დამავიწყდება, მაჩვენე და დამამახსოვრდება, გამაკეთებინე და ვისწავლი!“**

მესამე ამოცანაზე მუშაობისას ვაცნობიერებთ, რომ მხოლოდ ჭეშმარიტად თავისუფალი ადამიანი შეიძლება იყოს ადამიანის ღირსებასთან თავსებადი საზოგადოებრივი მოდელის შექმნის შემძლე. სკოლა-ლიცეუმში ეს მიიღწევა მშვიდი, გულითადი, მეგობრული (მაგრამ არა ეთიკის ჩარჩოებიდან გასული) ურთიერთობის, თანასწორობისა და პარტნიორობის საფუძველზე. აქ ჩვენი იდეალია ქრისტიანული თემის თანაცხოვრების პრინციპი: **„მთავარში – ერთობა/თანხმობა, სადავოში – თავისუფლება, მაგრამ ყველაფერში – სიყვარული“.**

აქვე ხაზს გავუსვამთ, რომ ჩვენი სკოლა-ლიცეუმი დიდი პატრიარქის, ილია II-ის კურთხევითაა დაფუძნებული ქალბატონ ია ბაგრატიონ-მუხრანელის მიერ და პატრიარქის მიერვეა გაწერილი სასწავლო-აღმზრდელობითი საქმიანობის მიმართულებები *(იხ. სკოლა-ლიცეუმის წესდება)*.

სკოლა-ლიცეუმს, რომელიც საბაზო და საშუალო საფეხურის სკოლაა, გააზრებული აქვს, რომ წარმატება მხოლოდ სასკოლო საზოგადოების ყველა სეგმენტის (მასწავლებელი – მოსწავლე – მოსწავლის მშობელი) თანამონაწილეობითა და გუნდური ძალისხმევით მიიღწევა. მოსწავლეთა მშობლებს აქვთ სასკოლო ცხოვრებაში თანამონაწილეობის ფართო არჩევანი – დაგეგმვის პროცესიდან დაწყებული, დირექციისგან დამოუკიდებელ, უმაღლესი გასაჩივრების სტრუქტურაში, სააპელაციო კომიტეტში მონაწილეობამდე.

გააკეთეთ არჩევანი, ჩადეთ საუკეთესო ინვესტიცია თქვენი შვილებისა და ქვეყნის მომავლისთვის!